



საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო



BATUMI STATE MARITIME ACADEMY

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



მენეჯმენტი- ნავსადგურის მენეჯმენტი

პროგრამის მოკლე აღმწერი

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება: № 58, 01 / 09 / 2018



European Commission
TEMPUS



INTERNATIONAL
MARITIME
ORGANIZATION





სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი- ნავსადგურის მენეჯმენტი
კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
პროგრამის ხელმძღვანელები	მედეა ქავთარაძე - ასოცირებული პროფესორი, m.kavtaradze@bsma.edu.ge
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, რუსთაველის ქ.№53 ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge
სწავლების ფორმა	დღის სწავლება - 4 სასწავლო წელი (8 აკადემიური სემესტრი)
პროგრამის მოცულობა	240 ECTS
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა	ქართული ენა
სწავლების ფორმატი	ლექცია, ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, რეფერატის ან არგუმენტირებული ნაშრომის შესრულება, კონკრეტულ ფაქტებზე/საკითხებზე მსჯელობა/დებატები, პრეზენტაცია, მულტიმედიური პროდუქციის გამოყენება, ქეისების ამოხსნა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. რეფერატის ან არგუმენტირებული ნაშრომის შესრულება.





პროგრამის მიზანია საზღვაო ნავსადგურებისა და სატრანსპორტო სისტემების მართვის სფეროში კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ საზღვაო ნავსადგურებისა და სატრანსპორტო სისტემის საწარმოების მართვის მრავალმხრივი სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; შეძლებენ სატრანსპორტო ორგანიზაციების წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტის გზების მოძიებასა და მათ შესრულებას, საზღვაო ნავსადგურებისა და სატრანსპორტო სისტემების მართვის სფეროში საორგანიზაციო - მმართველობით ღონისძიებების დასახვასა და განხორციელებას.

**პროგრამის
მიზანი**





საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს:


დარგობრივი კომპეტენციები:

სატრანსპორტო ორგანიზაციების შიდაორგანიზაციული პროცესების პირველადი ანალიზი, ოპერატიული გეგმებისა და სამოქმედო პროგრამების შემუშავება, მათი მიზნობრიობის დასაბუთება; ნავსადგურის სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების გაანალიზება, ეკონომიკური და ბიზნეს პროცესების პროგნოზების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; სატრანსპორტო და სატვირთო ოპერაციების დოკუმენტების გაფორმება; მომწოდებლებთან, პარტნიორებთან, კონტრაგენტებთან აღრიცხვის წარმოება და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების კონტროლი; დასაწყობების ლოგისტიკისა და ტვირთის უსაფრთხო და დაცული გადატვირთვის ტექნოლოგიების გამოყენება; აგენტებთან და საბაჟო ბროკერებთან მუშაობა სატრანსპორტო ოპერაციების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა. ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესის დაგეგმვა და მართვა.

ზოგადი კომპეტენციები:

სპეციალისტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაცია. სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის გენერირება, დამუშავება, ანალიზი, სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა, ტექნოლოგიური მოწყობილობების, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება და საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვა. უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი. არსებული პრობლემების გადასაწყვეტად მოლაპარაკებების წარმოება, კონტრაქტების მომზადება და დადება. ჯგუფური მუშაობის, ინტერპერსონალური ურთიერთობების ეფექტიანად ორგანიზება და სასურველი მიმართულებით წარმართვა.

**პროგრამის
შედეგები**





**პროგრამის
სტრუქტურა**

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი 240 ECTS კრედიტი. ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა საშუალება სტანდარტულად აითვისოს 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში).

პროგრამის სტრუქტურა:

პროგრამა შედგება სავალდებულო (175 ECTS მოცულობით), აგრეთვე არჩევითი და თავისუფალი (65 ECTS მოცულობით) სასწავლო კომპონენტებისაგან. რომელთაგან: საბაზო განათლების სასწავლო კურსების მოცულობაა - 20 ECTS; ჰუმანიტარულ და სოციალური დისციპლინათა სასწავლო კურსების მოცულობაა - 60 ECTS ; სპეციალობის სასწავლო კურსების მოცულობაა - 160 ECTS

ყოველი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას, საიდანაც 15 კვირა ეთმობა მეცედიწიეობების ჩატარებას, ხოლო 4 კვირა – სტუდენტთა ცოდნის შეფასებას.





კურსდამთავრებული, რომელსაც მინიჭებული აქვს აკადემიური ხარისხი „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში“ შეუძლია დასაქმდეს:

**დასაქმების
სფერო**

- ◆ საზღვაო ნავსადგურებში;
- ◆ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში;
- ◆ სატრანსპორტო ტერმინალებში;
- ◆ სავაჭრო კომპანიებში;
- ◆ ტრანსპორტის საწარმოების ეკონომიკურ და ფინანსურ სამსახურებში;
- ◆ საექსპედიტორო და სააგენტო კომპანიებში;
- ◆ შემოსავლების (საბაჟო) სამსახურებში;
- ◆ ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სფეროში;
- ◆ კერძო, საჯარო, არასამთავრობო და აკადემიურ სექტორებში;



- ◆ ბანკებსა და სხვა ფინანსურ დაწესებულებებში;
- ◆ სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟებზე;
- ◆ საინფორმაციო და სარეკლამო ცენტრებში და სააგენტოებში;
- ◆ ყველა იმ ორგანიზაციაში, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული





ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს არჩეული აკადემიური პერსონალი და მოწვეული დარგის სპეციალისტები:

- პროფესორი – 3;
 - ასოცირებული პროფესორი – 15;
 - სისტენტ პროფესორი – 1;
 - ასისტენტი – 2;
- მოწვეული მასწავლებელი-2;

მატერიალური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამებით დადგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტურობის მიხედვით საზღვაო აკადემია გამოიყენებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებს, პროექტორებს და სადემონსტრაციო მონიტორებს. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში. სტუდენტებს აქვთ თავისუფალი წვდომა კომპიუტერებზე, რომლებიც განლაგებულია კომპიუტერულ კლასებში, ბიბლიოთეკაში.

შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების საფუძველზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო კომპონენტში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

ცოდნის შემოწმების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში.





BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ღირსება, ცოდნა, გამოცდილება!